საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ლაზოს ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.04.019.456) სამრეცხაოს არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"

ქ. თბილისში, ლაზოს ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.11.04.019.456) სამრეცხაოს პროექტი შეასრულა საპროექტო ორგანიზაციამ **შპს"ურბან დიზაინ სტუდიო„**
(მისამართი: ქ. თბილისი, ამაღლების ქ. 1 ჩიხი #5-16)
პროექტის მთავარი არქიტექტორი: **ლიუდმილა ჩიქოვანი**

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქარველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.

2. შშმპ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

• პროექტის აღწერილობა

. პროექტის მიზანს წარმოადგენს სამრეცხაოს და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო საოფისე სივრცის შემცველი შენობის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარებითი პრინციპების და შენობა ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა.

. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ესაზღვრება არსებული გზები, დასავლეთით - მიმდებარე არეალში შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (ქ. თბილისის საკრებულოს 2017წლის 28 აპრილის განკარგულება №114) საფუძველზე დაგეგმარებული სამანქანო გზა, ხოლო სამხრეთით - კერძო მიწის ნაკვეთი

. ნაკვეთის ფართობია 481კვ.მ, რელიეფი თითქმის სწორია, ნიშნულების მაქსიმალური სხვაობაა 30სმ.

. ტერიტორიას სამანქანო მისასვლელი აქვს ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთ საზღვართან.

. საპროექტო შენობა მოიცავს ორ მიწისზედა სართულს.

I სართულზე დაგეგმარებულია ღია სივრცე, სადაც განთავსდება სარეცხი მანქანები, საშრობები, საუთოებელი მაგიდები, კარადები და ა.შ, ასევე მისაწვდომი სან-კვანძი
II სართულზე განთავსდება საოფისე ოთახები და სან-კვანძები.

- ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობის ნაწილები კლასიფიცირდება დაკავებულობების მიხედვით და ითვალისწინებს თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის **302-ე ქვეთავის.** შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია დაკავებულობა, რომელიც გამოყენებულია პროექტში:

საქმიანი ჯგუფი **სქ,** წესების **304.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის. საპროექტო შენობა წარმოადგენს სამრეცხაოს (მშრალი წმენდა და სამრეცხაო), რომელშიც არ გამოიყენება წესების **307 ქვეთავის** მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული ხსნარები/ნივთიერებები, აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს/მეპატრონეს.
პროექტის მიხედვით **სქ** დაკავებულობა განთავსებულია შენობის **0,00 და 3,75** ნიშნულზე.

სქ დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი- **9,3**, **1004** ქვეთავის და **1004.1.2** ცხრილის მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა: 1 სართული 0,00 ნიშნულზე - 30 დამკავებელი, მე-2 სართული 3,75 ნიშნულზე - 15 დამკავებელი, ჯამში **45** დამკავებელი.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობა შერჩეულია წესების შესაბამისად და მასი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004,1.2** ცხრილის მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

პროექტის ავტორის მიერ საპროექტო შენობისთვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი - **IIB** შერჩეულია შენობის დაკავებულობის, ფართობისა და სართულიანობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს წესების **503 ცხრილის** მოთხოვნებს.

შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, ბეტონის კარკასი, იატაკის და სახურავის კონსტრუქცია აკმაყოფილებს **601 ქვეთავს, 601 ცხრილის მოთხოვნებს.**

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღრულ მინიმუმს, 1 საათიანი ცეცხლმედეგობა მოეთხოვება მხოლოდ ა-გ ღერძებში (1 ღერძის გასწვრივ) მდებარე გარე კედელს, რაც დაცულია პროექტში, ხოლო დანარჩენ გარე კედლებს - ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე - ცეცხლმედეგობა არ მოეთხოვება.

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი შესაბამისობაშია კონსტრუქციის ტიპთან (II B) და აკმაყოფილებს წესების **503 ცხრილის** მოთხოვნებს, კერძოდ

- დასაშვები სართულიანობაა 4, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია - 2;
- მაქსიმალური დაშვებული სიმაღლე არის 16,8მ, პროექტის მიხედვით კი - მიწის დონის ნიშნულიდან სიმაღლე 8,45მ-ია;
- მაქსიმალური დასაშვები ფართობი 2140კვ.მ-ია, ხოლო შემოთავაზებული - 425,6კვ.მ

შენობის კუთხეების საპროექტო ტოპოგრაფიული ნიშნულებიდან გამომდინარე განსზღვრულია **„მიწის დონე“,** რომელიც შეესაბამება **418,20 ნიშნულს.**

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.
წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის,** და **1021.2(1) ცხრილიდან** გამომდინარე შენობას ემსაუხურება 1 შიგა გასასვლელის გზა-კიბე და შენობიდან გამოსასვლელი 2 გზა-კარი. მე-2 სართულზე გასასვლელამდე მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 23მეტრს, რაც აკმაყოფილებს **1021.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფანი მოწყობილია **1018 ქვეთავის,** ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.
ყველა გასასვლელი გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გზა-კიბის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და მე-2 სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის (15) მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (7.6 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(1.14მ)** მეტი სიგანის გზა-კიბე **(1.25 მ)**. გზა-კიბე ასევე აკმაყოფილებენ **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავის მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). პირველ სართულზე შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.90 მეტრს.**

6.მისაწვდომობის შეფასებას;

მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზით. **1007 ქვეთავის** შესაბამისად შენობის ორივე გასასვლელი არის მისაწვდომი და ემსახურება 7%-იანი დახრის მქონე ორი პანდუსი. 1 სართული მთლიანად მისაწვდომია, გათვალისწინებულია ერთი მისაწვდომი სან.-კვანძი. მისაწვდომი სვლაგეზი აკმაყოფილებს **1104 ქვეთავის** მოთხოვნებს.

მე-11 თავის 1104.4 ქვეთავის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მისაწვდომი სვლაგეზი არ სჭირდება სართულებს, რომელთა საერთო ფართობი არ აღემატება 280კვ.მ-ს და რომლებიც მდებარეობს მისაწვდომი დონეების ზემოთ ან ქვემოთ, საპროექტო შენობის მე-2 სართული ამ მოთხოვნების გათვალისწინებით არ არის მისაწვდომი

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება**705.8 ცხრილს**. მოცემული დოკუმენტაციის მიხედვით 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი აქვს მხოლოდ „1“ ღერძის გასწვრივ „ა“-„გ“ ღერძებში მდებარე შენობის გარე კედელს, ვინაიდან **ცხრილი 602-ის** მიხედვით ამ კედლიდან მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი შეადგენს 0,1მ-ს, ხოლო დანარჩენ გარე კედლებს ხანძარმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება, რადგან მათი მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 3,0მ-ს (შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (IIB) გამომდინარე **ცხრილი 602-ის** მიხედვით).

გარე კედლების ღიობების ფართობი აკმაყოფილებს **ცხრილი 705,8** -ის მოთხოვნებს, კერძოდ:

„გ“-„ა“ ღერძებში მდებარე ფასადზე გარე კედლის დასაშვები (დაუცველი) ღიობების ფართობი არის 25%-დან 45%-მდე, რადგან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მინ. 5,31მ, ხოლო მაქსიმუმ 8მ-ია. პროექტით გათვალისწინებული ღიობების ფართი შეადგენს 38%-ს, უშუალოდ ღიობიდან მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 6მ და მეტია.

„1“-„5“ ღერძებში მდებარე ფასადზე გარე კედლის დასაშვები (დაუცველი) ღიობების ფართობი არის 25% (ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 5მ-დან 5,7მ-მდე), პროექტით გათვალისწინებული ღიობების ფართი შეადგენს 23%-ს.

„ა“-„გ“ ღერძებში „1“ ღერძის გასწვრივ მდებარე ფასადზე გარე კედლებში დაუშვებელია ღიობების განთავსება,რადგან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 1მ-ზე ნაკლებია.

„ა“-„გ“ ღერძებში „3“ ღერძის გასწვრივ მდებარე ფასადზე დასაშვები (დაუცველი) ღიობების ფართობი შეუზღუდავია (ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 11,6მ-ია), პროექტით გათვალისწინებული ღიობების ფართი შეადგენს 17%-ს.

„5“-„1“ ღერძებში მდებარე ფასადზე გარე კედლის დასაშვები (დაუცველი) ღიობების ფართობი არის 25%-დან 70%-მდე, რადგან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მინ. 5,6მ, ხოლო მაქსიმუმ 7,96მ-ია. პროექტით გათვალისწინებული ღიობების ფართი შეადგენს 20%-ს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქციად გამოყენებულია მონოლითური რ/ბ-ის ფილა, რომელზეც მოეწყობა მრავალშრიანი ბურული (ბრტყელი გადახურვა). სახურავი მოქცეულია პარაპეტში.

სახურავის სტრუქტურას და არაძირითად ნაწილებს ცეცხლმედეგობის ხარისხი **601 ცხრილის** მიხედვით არ მოეთხოვება, თუმცა პროექტის მიხედვით სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხი აღემატება IIB კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;

საპროექტო შენობაში თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული **508 ქვეთავის** შესაბამისად. შენობის ორივე სართულზე წარმოდგენილია საქმიანი ჯგუფის დაკავებულობა, რაც 508.4 ცხრილის შესაბამისად გამიჯვნას არ საჭიროებს

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო შენობისთვის (სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის) **906 ქვეთავის** მიხედვით გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები, სხვა ხანძრისაგან დაცვის სისტემები არ მოეთხოვება

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა, შენობის საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, შეესაბამება წესების **1602.1 ცხრილის** მოთხოვნებს. პროექტით გათვალისწინებულია:

- ერთი მისაწვდომი სან-კვანძი;
- საოფისე სივრცეებისთვის 2 სან-კვანძი;
- 2 სამომსახურო ნიჟარა
- წყლის დასალევი შადრევანი - სასმელი წყლის აპარატი.

• დასკვნა

ქ. თბილისში, ლაზოს ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.04.019.456) დაპროექტებული სამრეცხაოს შენობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად

ექსპერტი: ოთარ სულაბერიძე

თარიღი : 12.3.2018


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ოთარ
OTAR
გვარი / LAST NAME
სულაბერიძე
SULABERIDZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მამ / M
პირადი No / PERSONAL No
01008047000
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
28.11.1989
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
18.01.2023
ბარათის No / CARD No
12IC44226
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
18.01.2013
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE012IC44226701008047000<<<<
8911285M2301181GE0<<<<<<<<<<<6
SULABERIDZE<<OTAR<<<<<<<<<<<<<



CURRICULUM VITAE (CV)
ჭავჭავაძის გამზირი, 78, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 551412000
Email: pcg2017.info@gmail.com

პროფესია	არქიტექტორი
სახელი, გვარი	ოთარ სულაბერიძე
დაბადების თარიღი	28.11.1989
დაბადების ადგილი	თბილისი

განათლება:

2007-2011 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ბაკალავრი

2011-2013 Universitat Pompeu Fabra Barcelona (UPF) - მაგისტრი

2010 -ჰელსინკის უნივერსიტეტი; საზაფხულო სკოლა, კურსი- პროექტი და ქალაქი

2011 –Bauhaus Dessau Foundation -საზაფხულო სკოლა, კურსი -“energy landscapes”

სამუშაო გამოცდილება ანაზღაურების ჩვენებით:

პერიოდი	დამსაქმებელი ორგანიზაცია და თანამდებობა	ქვეყანა	აღწერეთ თქვენი მოვალეობები
2007-2008	GIS Consulting Center	საქართველო	სტაჟიორი
2008-დღემდე	შპს არტსტუდიო პროექტი	საქართველო	არქიტექტორი
2015 მარტი - აგვისტო 2015	Reardon Smith Architects	ინგლისი	არქიტექტორი,პროექტის კოორდინატორი
2017-დღემდე	Planning Consulting Group	საქართველო	დაგეგმარების კონსულტანტი, ექსპერტი

ენები (მიუთითეთ მხოლოდ ის ენები, რომელშიც შეგიძლიათ მუშაობა)

ქართული, რუსული, ინგლისური

კომპიუტერული პროგრამები

Autocad, 3ds Max (Vray), Photoshop, Sketchup, Office.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

#07/19-2611 30 01 2012

ცნობა

ოთარ სულაბერიძე 2007 წლის 28 სექტემბრის N012 ა-ს/ხ ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I სემესტრში. 2011 წლის 19 აგვისტოს N140 ს/ხ ბრძანების საფუძველზე დაამთავრა ოთხწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი და მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაცია. დიპლომის გაცემა მოხდება არაუგვიანეს 2012 წლის 30 მარტისა.

ხარისხის მართვის
სამსახურის უფროსი ნ. ღაღანიძე

საქართველო, 0108 თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 32) 2936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2934 665
22 Griboedov str, 0108 Tbilisi, Georgia, tel: (+995 32) 2936 959, tel/fax: (+995 32) 2934 665, www.artacademy.edu.ge

upf. Universitat Pompeu Fabra Barcelona

The Rector awards this

Master in Metropolis. Master in Architecture and Urban Culture

to

Otar Sulaberidze

having successfully passed the assessment tests foreseen in the corresponding programme and a total of 60 ECTS credits
academic year 2011 - 2013

Barcelona, September 30, 2013

Interested party

Rector

Academic Management

Director General of the Continuing Education Institute Private Foundation

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170682993
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.06.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	0645764908071 7

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შენიშვნა: საბუთს დამცავ ფონად გასდევს უნივერსიტეტის ლოგო

უნივერსიტეტის ლოგო

Pompeu Fabra-ს უნივერსიტეტი

ბარსელონა

რექტორი აჯილდოვებს

ოთარ სულაბერიძეს

მეტროპოლისის, არქიტექტურისა და

ქალაქმშენებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით

მან წარმატებით ჩააბარა შეფასების ტესტები (გამოცდები), რომლებიც გათვალისწინებული იყო შესაბამისი პროგრამით და ჯამში 2011-2013 სასწავლო (აკადემიური) წლების განმავლობაში მოიპოვა 60 ECTS კრედიტი.

2013 წლის სექტემბერი, ბარსელონა

დაინტერესებული მხარე

რექტორი ხელმოწერილია

აკადემიური მმართველობა ხელმოწერილია

უწყვეტი განათლების ინსტიტუტის კერძო ფონდის გენერალური დირექტორი ხელმოწერილია

თარჯიმანი: ირმა ჯაფარიძე



შეკრულია და დანომრილია ... ფურცლად
ნოტარიუსი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170683017
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.06.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	72191971171417

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

20.06.2017 წელს, საქართველო, თბილისი, ი.ჭავჭავაძის 68, ნოტარიუსი ციური ბერიძე, ვამოწმებ ჩემთვის ცნობილი თარჯიმნის ირმა ჯაფარიძის (დაბ. 18.03.1969 წელს, პირადი № 01011070620, ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი »-ს მიერ 2015 წელს გაცემული ინგლისური ენის სერთიფიკატი) ხელმოწერის ნამდვილობას თარგმანზე ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე, რომელმაც ჯეროვნად იცის ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

20.06.2017, Georgia, Tbilisi, #68 I. Chavchavadze Ave.I, a notary Tsiuri Beridze, Tbilisi, certify the authenticity of the signature of the translator Irma Japharidze (born 18.03.1969, personal № 01011070620, Certificate Of English Language Learning Centre issued on 2015), who is duly authorized to translate from English into Georgia and who witnesses to the accuracy of the translation.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა–2 ლარი და რეგისტრაციის საფასური -2 ლ 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, დღგ-0.36 ლ. სულ გადახდილია: 4.36 ლ.

Notary duty paid for notary services according to provisions about payment for notary actions provided for by resolution № 507 passed 29.12.2011 by Government of Georgia about Notary Chamber of Georgia "Payments Regulations and Terms of Services Rendering" (Article 31, paragraph 3), - 2 L. and fees for a notary act registration according- 2 L. 39 to paragraph 1 of Article, VAT-0.36, total fees paid: – 4.36 L.

ნოტარიუსი ც. ბერიძე
Notary Tsiuri Beridze

თბილისი, გ. ტაბიძის ქ. 3/5,
ტელ/ფაქსი: (99532) 2915254
Email: <info@artstudio.ge>

3/5, G. Tabidze st, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: (99532) 2915254
Email: <info@artstudio.ge>

31.05.2017

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე ოთარ სულაბერიძეს (პირადი No 01008047000) მასზედ, რომ 2010 წლიდან დღემდე, ის მუშაობს შპს "არტსტუდიო-პროექტში" არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

ირენე სკალვინი

შპს "არტსტუდიო-პროექტი"-ს დირექტორი